თვითმმართველი თემი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 23

„20“ აპრილი 2016 წელი

„თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 18 მარტის №25 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

1. „თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 18 მარტის №25 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხას და პრივატიზაციის გეგმას დაემატოს დანართ №1-ში და დანართ №2-ში მითითებული ქონება;

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის. ქალაქი თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

საკრებულოს თავმჯდომარე პაატა გიორგობიანი

*დანართი №1*

თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების

საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა

1. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კონდოლში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კოდი №53.05.33.065, 102669 კვ.მ).

2. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ იყალთოში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კოდი №53.12.32.126, 24334 კვ.მ).

3. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ გულგულაში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კოდი №53.09.34.109, 108058 კვ.მ).

4. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ფშაველში მდებარე არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა - ნაგებობები, (ს/კოდი №53.16.34.015, №1 შენობა - ნაგებობის ფართი 820 კვ.მ, №2 შენობა - ნაგებობების ფართი 34.6 კვ.მ).

საკრებულოს თავმჯდომარე ბაატა გიორგობიანი

*დანართი №2*

**თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების პრივატიზაციის გეგმა**

1. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კონდოლში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი, უპირობო აუქციონი, ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში მოხდეს შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდა, საწყისი საპრივატიზებო ღირებულება 40 000 ლარი, ბილეთის ფასი 30 ლარი (ს/კოდი №53.05.33.065, 102669 კვ.მ).

2. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ იყალთოში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი, უპირობო აუქციონი, ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში მოხდეს შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდა, საწყისი საპრივატიზებო ღირებულება 8850 ლარი, ბილეთის ფასი 30 ლარი (ს/კოდი №53.12.32.126, 24334კვ.მ).

3. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ გულგულაში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი, უპირობო აუქციონი, ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში მოხდეს შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდა, საწყისი საპრივატიზებო ღირებულება 39 600 ლარი, ბილეთის ფასი 30 ლარი (ს/კოდი №53.09.34.109, 108058 კვ.მ).

4. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ფშაველში მდებარე არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა - ნაგებობები, პირობიანი აუქციონი, ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში მოხდეს შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდა, საწყისი საპრივატიზებო ღირებულება №1 შენობა - ნაგებობის ფართი 820 კვ.მ 12 000 ლარი, №2 შენობა - ნაგებობების ფართი 34.6 კვ.მ 700 ლარი, (ს/კოდი №53.16.34.0150), ბილეთის ფასი 30 ლარი.

საკრებულოს თავმჯდომარე პაატა გიორგობიანი